თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

კონსერვატორიის
სადისერტაციო საბჭოს დებულება

თბილისი 2014

სარჩევი

თავი I კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭო

1. ზოგადი დებულებები
2. სადისერტაციო საბჭოს სტრუქტურა, ფუნქციები და უფლებამოსილება
3. საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილება
4. საბჭოს სწავლული მდივანის უფლებამოსილება

თავი II სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა

5. სადისერტაციო ნაშრომი და ავტორეფერატი
6. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა
7. სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი შეფასება
8. სადისერტაციო კომისია
9. დისერტაციის დაცვა და მისი საბოლოო შეფასება
10. სამუსიკო ხელოვნების დოქტორის ხარისხის მოპოვების პროცედურა
11. დისერტაციის დაცვის პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის
12. სამუსიკო ხელოვნების დოქტორის/ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხი
13. აპელაცია
14. სადისერტაციო დოკუმენტაციის აღრიცხვა

თავი III 15. საპატიო დოქტორის წოდება

თავი IV 16. დასკვნითი დებულებები

თავი I. კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭო

1. ზოგადი დებულებები

1.1 სადისერტაციო საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს ფაკულტეტების საბჭოს მიერ შემუშავებული და კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული წინამდებარე დებულების შესაბამისად.

1.2 კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭო ანიჭებს ***ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის*** (*PhD in Art Studies*)და***სამუსიკო ხელოვნების დოქტორის*** (*Doctor of Musical Arts*)აკადემიურ ხარისხებს.

1.3 სადისერტაციო საბჭო ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს ნაშრომის საჯარო დაცვის საფუძველზე, ხოლო სამუსიკო ხელოვნების დოქტორის აკადემიურ ხარისხს საკონცერტო გამოსვლისა (სპეციალობის კლასში დამასრულებელი გამოცდის) და სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის საფუძველზე.

1.4 ერთი თვის განმავლობაში შეიძლება განხორციელდეს არაუმეტეს ოთხი სადისერტაციო ნაშრომის დაცვა. სადისერტაციო საბჭოს ერთ სხდომაზე დასაშვებია *ხელოვნებათმცოდნეობის* დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ერთი ნაშრომის ან *სამუსიკო ხელოვნების* დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ორი ნაშრომის დაცვა.

2. სადისერტაციო საბჭოს სტრუქტურა, ფუნქციები და უფლებამოსილება

2.1 სადისერტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ან კონსერვატორიის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისაგან.

2.2 სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომებზე. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულია, თუ მას ხმას მისცემს დამსწრეთა 2/3.

2.3 სადისერტაციო საბჭოს კენჭისყრის შედეგად მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და სწავლული მდივანი.

2.4 სადისერტაციო საბჭო:

- ირჩევს და ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და სწავლულ მდივანს;
- ამტკიცებს დოქტორანტის ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელებს);
- ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის თემას;
- ნიშნავს სადისერტაციო ნაშრომის ექსპერტებს, განსაზღვრავს სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას და მის თავჯდომარეს;
- ამტკიცებს დისერტაციის დაცვის თარიღს და ნიშნავს სხდომას;

- განიხილავს დისერტაციის დაცვის შედეგებს, შესაბამისი კომისიების დასკვნის საფუძველზე ანიჭებსდოქტორის აკადემიური ხარისხის მაძიებელს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორისა ან სამუსიკო ხელოვნების დოქტორის აკადემიურ ხარისხს.
- იღებს გადაწყვეტილებას სათანადო ექსპერტიზის საფუძველზე პლაგიატის დადგენის შემთხვევაში ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორისა და სამუსიკო ხელოვნების დოქტორის აკადემიური ხარისხის ჩამორთმევის შესახებ;
- განიხილავს დისერტაციასთან დაკავშირებულ ყველა სადავო საკითხს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.
- ახორციელებს კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2.5 სადისერტაციო საბჭოს საზაფხულო არდადეგები იწყება 20 ივნისიდან და გრძელდება 1 ოქტომბრამდე. ამ პერიოდის განმავლობაში შეჩერებულია დისერტაციის მიღებასთან, განხილვასა და დაცვასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა.

2.6 საბჭოს წევრთა სხდომაზე დასწრება ფიქსირდება *დასწრების ფურცელში.* სადისერტაციო საბჭოს ყავს თავმჯდომარე, მოადგილე და სწავლული მდივანი.

3. საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილება

3.1 სადისერტაციო საბჭოს ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე.

3.2 სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (შემდგომში თავმჯდომარე) სადისერტაციო საბჭოს პროფესორების და ასოცირებული პროფესორების შემადგენლობიდან სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ფარული კენჭისყრით ირჩევს კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭო 3 წლის ვადით. ერთი კანდიდატი ზედიზედ ორჯერ შეიძლება იქნას არჩეული. თავმჯდომარის არჩევამდე პირველ სხდომას უძღვება ერთ-ერთი ფაკულტეტის დეკანი.

3.3 თავმჯდომარის კანდიდატურას ამტკიცებს კონსერვატორიის აკადემიური საბჭო.

3.4 თავმჯდომარის რეკომენდაციით სადისერტაციო საბჭოს წარედგინება მოადგილისა და სწავლული მდივნის კანდიდატურები და ხდება მათი დამტკიცება.

3.5 **საბჭოს თავმჯდომარე:**

- იწვევს საბჭოს სხდომებს წელიწადში არანაკლებ ორჯერ;
- საბჭოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/5-ის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა;
- თავმჯდომარე უფლებამოსილია სწავლული მდივნის დაუსწრებლობის შემთხვევაში მისი მოვალეობის შესრულება დაავალოს საბჭოს ერთ-ერთ წევრს;
- სასწავლო წლის ბოლოს აკადემიურ საბჭოს წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს წლიური მუშაობის ანგარიშს;
- რწმუნების ვადის გასვლამდე სულ მცირე ორი კვირით ადრე თავმჯდომარე უნდა წარდგეს აკადემიური საბჭოს წინაშე შემაჯამებელი ანგარიშით.

3.6 სადისერტაციო საბჭოს მოადგილე

- თავმჯდომარის დაუსწრებლობის შემთხვევაში მისი მოვალეობის შესრულება ეკისრება მოადგილეს.
- თავჯდომარის მოადგილის უფლებამოსილების ვადა შეესაბამება თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადას;

4. საბჭოს სწავლული მდივნის უფლებამოსილება

4.1 სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი უნდა იყოს სადისერტაციო საბჭოს წევრი; მისი უფლებამოსილების ვადა შეესაბამება თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადას;

4.2 სადისერტაციო საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოსა და სადისერტაციო კომისიის ორგანიზაციულ და ტექნიკურ საქმიანობას:

- პასუხისმგებელია საბჭოს არქივისა და საქმის წარმოებაზე;
- უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებას კონსერვატორიის ვებ-გვერდზე;
- აწარმოებს სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმებს;
- საბჭოს წევრებს სხდომამდე სულ ცოტა ერთი კვირით ადრე აცნობს დღის წესრიგს;
- უზრუნველყოფს კონსერვატორიის ბიბლიოთეკისთვის დისერტაციის ერთი პირისა და ავტორეფერატის 3 პირის, ასევე ელექტრონული ვერსიის გადაცემას სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე 10 სამუშაოდღით ადრე;
- უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის ექსპერტებისთვის გადაცემას მათი დანიშვნიდან არაუგვიანეს ორი კვირისა. უზრუნველყოფს დისერტანტისთვის ექსპერტების დასკვნების გადაცემას დისერტაციის დაცვამდე არაუგვიანეს 15 დღისა;
- სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე 10 დღით ადრე უზრუნველყოფს დაცვის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას კონსერვატორიის ვებ-გვერდზე და კონსერვატორიაში თვალსაჩინო, განცხადებების განთავსების ადგილას.
- ეხმარება დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე და დაცვის შემდეგ სათანადო დოკუმენტაციის მოწესრიგებაში.

4.3 ხარისხის მინიჭების შემდგომ, აკადემიური ხარისხის მაძიებლისთვის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის და სამუსიკო ხელოვნების დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაცემამდე, უზრუნველყოფს დისერტაციისა და ავტორეფერატის (ხელნაბეჭდი ერთი პირი და ელექტრონული PDF ვერსია CD-ზე 10 ეგზემპლიარის რაოდენობით) გადაცემას თბილისის სახ. კონსერვატორიის და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკებისთვის.

თავი II. სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა

5. სადისერტაციო ნაშრომი და ავტორეფერატი

5.1. ხელოვნებათმცოდნობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად შესრულებული სამეცნიერო მუშაობის შედეგი - სადისერტაციო ნაშრომი უნდა იყოს დასრულებული გამოკვლევა და უნდა მოიცავდეს მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ თეორიულ და/ან ექსპერიმენტულ შედეგებს, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ მუსიკალური ხელოვნებისათვის.

5.2. სამუსიკო ხელოვნების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად შესრულებული დისერტაცია უნდა წარმოადგენდეს თეორიულ-

საშემსრულებლო, კომპოზიციურ-ტექნოლოგიური, პრაქტიკულ-მეთოდური, საშემსრულებლო-ინტერპრეტაციული საკითხებისადმი მიძღვნილ დასრულებულ გამოკვლევას.

5.3. სადისერტაციო ნაშრომში დოქტორანტს უფლება აქვს გამოიყენოს თავისივე საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომების ტექსტი, რომლის მოცულობაც არ უნდა აღემატებოდეს დისერტაციის ტექსტის 1/4-ს. გარდა ამისა, სადიპლომო ნაშრომის სამეცნიერო დასკვნები არ უნდა იყოს წარმოდგენილი დისერტაციის ძირითადი შედეგების სახით.

5.4. სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს: *ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მაძიებლისთვის* არანაკლებ 150 გვერდისა დანართის გარეშე, ხოლო *სამუსიკო ხელოვნების დოქტორებისათვის* არანაკლებ 70 გვერდისა დანართის გარეშე. სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურა მიეთითება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სამეცნიერო შრომებისთვის შემუშავებული ბიბლიოგრაფიის მითითების საერთაშორისო APA წესით. იხ. *დანართი №1*

5.5. სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატი უნდა შეიცავდეს ქართულ ტექსტს და მის სრულ თარგმანს რომელიმე ევროპულ (ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, რუსულ) ენაზე. ავტორეფერატის საერთო მოცულობა (თარგმანის ჩათვლით) უნდა იყოს: **ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მაძიებლისთვის** 50-დან 60 გვერდამდე, **სამუსიკო ხელოვნების დოქტორებისათვის** კი 25-დან 30 გვერდამდე. იხ. **დანართი №2**

5.6. სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატში სრულად უნდა აისახოს თემის აქტუალობა, კვლევის მიზანი, შედეგები და ნაშრომის მეცნიერული სიახლე. იგი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ნაშრომის აპრობაციის (მოხსენებები სამეცნიერო ფორუმებზე, სემინარებზე და ა.შ.), დისერტაციის მოცულობისა და სტრუქტურის შესახებ. დისერტაციის შინაარსი ავტორეფერატში გადმოცემულია თავების მიხედვით, აქვეა ზოგადი დასკვნები და ავტორის სადისერტაციო ნაშრომის პრობლემატიკასთან დაკავშირებული პუბლიკაციების ნუსხა.

5.7. ზემოაღნიშნული მოთხოვნების დარღვევისას მაძიებელს უბრუნდება დისერტაცია. სადისერტაციო ნაშრომს შემდგომი მსვლელობა ეძლევა მხოლოდ არსებული ხარვეზების გასწორების შემდეგ.

5.8. თანაავტორობით მიღებული სამეცნიერო შედეგების დისერტაციაში ძირითად შედეგებად წარმოდგენა დაუშვებელია.

6. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა

6.1. ნაშრომის სადისერტაციო საბჭოზე წარდგენის წინ ხდება მისი წინასწარი დაცვა იმ მიმართულების პროფესორთა სხდომაზე, სადაც შესრულდა ნაშრომი. ხელოვნებათმცოდნობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებელად წარდგენილი დისერტაციის რეცენზირებას ახდენს მიმართულების 2, ხოლო სამუსიკო ხელოვნების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებელ დისერტაციისას – 1 პროფესორი.

6.2. შესაბამისი მიმართულების სხდომაზე დისერტაციის განხილვის ოქმში უნდა აისახოს

- შესრულებული დისერტაციის შესაბამისი მეცნიერების დარგი, სპეციალობა, ხელმძღვანელი;
- როდის და რომელმა საბჭომ დაამტკიცა სადისერტაციო თემა (თარიღის და ოქმის ნომრის მითითებით);

- დისერტაციის თემის აქტუალობა, კვლევის მეცნიერული სიახლე, სანდოობა, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, სტრუქტურული და ენობრივი გამართულობა;
- დისერტაციის შინაარსის ასახვის სისრულე ავტორეფერატში და ასევე დისერტანტის გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომებში; ამ გამოცემების შესაბამისობა დებულებით წაყენებულ მოთხოვნებთან;
- თუ დისერტაციის შედეგები გამოქვეყნებულია ერთობლივ შრომებში, დასკვნას უნდა ერთვოდეს ყოველი თანაავტორის წერილობით თანხმობა ამ შედეგების დისერტაციაში შეტანის შესახებ;
- ნაშრომის დაცვაზე დაშვების, შესასწორებლად ან გადასამუშავებლად დოქტორანტისთვის უკან დაბრუნების, ან დაცვაზე უარის თქმის გადაწყვეტილება.

6.1 აპრობაციაზე რეცენზენტის/ების უარყოფითი შეფასების შემთხვევაში დისერტანტს ეძლევა ვადა პრინციპული შენიშვნების შესწორებისთვის და ხელმეორე აპრობაციისათვის.

6.2 ხელოვნებათმცოდნობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მაძიებლებს რეფერირებულ/რეცენზირებულ გამოცემებში სადისერტაციო თემის ირგვლივ გამოქვეყნებული უნდა ქონდეს სულ ცოტა სამი ნაშრომი, ხოლო ავტორეფერატმა უნდა გაიაროს ფარული რეცენზირება. ავტორეფერატის რეცენზირებას უზრუნველყოფს კონსერვატორია დისერტაციის წარდგენიდან არაუმეტეს 2 თვის განმავლობაში. ავტორეფერატზე უარყოფითი რეცენზიის მიღების შემთხვევაში ის ხელახლა გადაეგზავნება სხვა რეცენზენტს. რეცენზენტის დადებითი რეცენზია დისერტანტის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა, უარყოფითი რეცენზიის შემთხვევაში – დოქტორანტს ეძლევა 3 თვე, რათა გადაამუშავოს ავტორეფერატი ხელახლა, რომელიც გაივლის იგივე პროცედურას. საბოლოო უარყოფითი გამოხმაურების შემთხვევაში დოქტორანტი არ დაიშვება დაცვაზე. დაცვაზე წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა რეცენზია, რომელსაც დისერტანტმა უნდა გასცეს პასუხი. სამუსიკო ხელოვნების დოქტორებს ევალებათ სულ ცოტა 2 სტატიის გამოქვეყნება. მათი ავტორეფერატი ფარულ რეცენზირებას არ გადის.

6.3 სადისერტაციო საბჭოს გადაეცემა დისერტაციის 4 აკინძული ეგზემპლარი, ავტორეფერატის 4 აუკინძავი ეგზემპლიარი და ელექტრონული WORD და PDF ვერსიები კონსერვატორიის ვებ-გვერდზე განსათავსებლად. ავტორეფერატის ბეჭდვის უფლება დისერტანტს ეძლევა ექსპერტის/ების დადებითი შეფასების მიღების შემდეგ. დასაბეჭდი ავტორეფერატების რაოდენობა განისაზღვრება საბჭოს წევრებისა და დასაგზავნი ეგზემპლიარების ჯამური რაოდენობით.

6.4 დისერტანტმა ნაშრომს თან უნდა დაურთოს ამ დებულებით განსაზღვრული აუცილებელი დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, სადისერტაციო ნაშრომი განსახილველად არ მიიღება.

7. სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი შეფასება

7.1 დისერტაციის საბჭოში მიღებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, თავმჯდომარის წარდგინებით, სადისერტაციო საბჭო, დასკვნისათვის გამოყოფს: ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორების ნაშრომზე ორ, ხოლო სამუსიკო ხელოვნების დოქტორების ნაშრომზე ერთ ექსპერტს (დისერტაციის თემატიკის შესაბამისად), რომლებიც განსაზღვრავენ დისერტაციის დაცვაზე დაშვების საკითხს.

7.2 ექსპერტი შეიძლება იყოს კონსერვატორიის პროფესორი/ასოცირებული პროფესორი, ან შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის აკადემიური ხარისხის მქონე პირი. ექსპერტად ინიშნება პირი, რომელსაც აქვს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება.

7.3 ექსპერტებმა ნაშრომის მიღებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში სადისერტაციო საბჭოს უნდა წარუდგინონ დასკვნა სადისერტაციო ნაშრომზე. დასკვნაში რეცენზიის სახით უნდა შეფასდეს და აისახოს: ა) ჩატარებული კვლევის აქტუალობა, სიახლე, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, დისერტაციის სტრუქტურა, გაფორმების ხარისხი და ენობრივი გამართულობა, ბ) ნაშრომის დაცვაზე დაშვების, ან შესასწორებლად დოქტორანტისთვის უკან დაბრუნების, ანდა დაცვაზე უარის თქმის რეკომენდაცია. ექსპერტების რეცენზიები ფორმდება ხელნაბეჭდის სახით, ორ ცალად ექსპერტების ხელმოწერა მოწმდება იმ ორგანიზაციის ბეჭდით, რომელშიც მუშაობენ ექსპერტები. რეცენზიის მეორე პირი, მისი საბჭოში ჩაბარებისთანავე, გადაეცემა დოქტორანტს.

7.4 ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის დისერტაციის საჯარო დაცვაზე დაშვებისათვის საჭიროა ორივე ექსპერტის დადებითი დასკვნა. ორივე ექსპერტის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში დისერტაცია უბრუნდება დისერტანტს, რომელსაც დისერტაციის შესასწორებლად/ გადასამუშავებლად მიეცემა 1 წლის ვადა. ექსპერტთა ხმების გაყოფის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე დანიშნავს მესამე ექსპერტს, რომლის შეფასება გადაწყვეტს დისერტაციის დაცვაზე დაშვების საკითხს. მესამე ექსპერტს შეფასებისთვის ეძლევა არაუმეტეს ერთი თვისა.

7.5 სამუსიკო ხელოვნების დოქტორების ნაშრომისთვის გამოიყოფა ერთი ექსპერტი, რომლის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე გამოყოფს მეორე ექსპერტს. თემის კვლავ უარყოფითი შეფასების შემთხვევაში დისერტაცია უბრუნდება დისერტანტს, რომელსაც დისერტაციის შესასწორებლად/ გადასამუშავებლადმიეცემა 1 წლის ვადა.

7.6 ნაშრომის ხელმეორედ უარყოფითი შეფასების შემთხვევაში იგი აღარ მიიღება დასაცავად. უარყოფითად შეფასებული ნაშრომის ერთი პირი და ექსპერტების წერილობითი დასკვნები უნდა დარჩეს სადისერტაციო საბჭოს არქივში.

7.7 ნაშრომის დადებითად შეფასების შემთხვევაში, დოქტორანტს შეუძლია გაეცნოს ექსპერტების დასკვნებს დაცვამდე არაუგვიანეს 15 დღისა.

7.8 დაცვაზე დაშვების შემთხვევაში 10 დღით ადრე სადისერტაციო საბჭო ავრცელებს ინფორმაციას (ბეჭდური და ელექტრონული სახით), სადაც მითითებულია დაცვის თარიღი, ადგილი, დრო, დისერტაციის დასახელება, ავტორი, ხელმძღვანელი და ექსპერტები.

8. სადისერტაციო კომისია

8.1 საბჭოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე დასადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით საბჭოს წევრებისგან ერთჯერადად ყალიბდება სადისერტაციო კომისია, რომელიც აფასებს სადისერტაციო ნაშრომს.

8.2 კომისიაში ასევე შეიძლება მოწვეული იქნან დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირები. დასაშვებია ასევე, საშემსრულებლო პროფილის დისერტაციის შემთხვევაში სადისერტაციო თემასთან პრაქტიკული საქმიანობით დაკავშირებული კვალიფიცირებული მუსიკოს-შემსრულებლის მოწვევა.

8.3 კომისიის წევრები უნდა იყვნენ უპირატესად მეცნიერების იმ დარგის წარმომამდგენელნი, რომელშიც შესრულებულია დისერტაცია.

8.4 კომისიის წევრთა ნახევარს მაინც უნდა შეადგენდნენ საბჭოს წევრები.

8.5 კომისიაში უნდა შედიოდნენ დისერტაციის ექსპერტები ხმის უფლებით. კომისიაში არ შედიან დისერტაციის ხელმძღვანელი/ები და კონსულტანტი/ები.

8.6 სადისერტაციო კომისია შედგება: ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორების ნაშრომის დაცვისას – 11 წევრისაგან, ხოლო სამუსიკო ხელოვნებისდოქტორების ნაშრომის დაცვისას - 9 წევრისგან.

8.7 კომისია უფლებამოსილია განაგრძოს მუშაობა, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა არანაკლებ 3/4 –ისა.

8.8 სადისერტაციო კომისიის მუშაობას უძღვება კომისიის თავმჯდომარე.

8.9 სადისერტაციო კომისიის წევრთა რაოდენობა უნდა იყოს კენტი; იმ შემთხვევაში თუ კომისიის რაოდენობა იქნა ლუწი, კომისიის თავმჯდომარე იწვევს დამატებით წევრს საბჭოს შემადგენლობიდან.

8.10 სხდომაზე დასწრება ფიქსირდება კომისიის *დასწრების ფურცელში.*

8.11 კომისიის თავმჯდომარე უნდა იყოს კონსერვატორიის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

9. დისერტაციის დაცვა და მისი საბოლოო შეფასება

9.1 დისერტაციის დაცვა ხორციელდება სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

9.2 სადისერტაციო კომისია მუშაობს სახელმწიფო ენაზე. საბჭოს მოტივირებული გადაწყვეტილებით, გამონაკლის შემთხვევაში (უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის), დაცვა შეიძლება ჩატარდეს რომელიმე საერთაშორისო ენაზე.

9.3 ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორებსა და სამუსიკო ხელოვნების დოქტორებისათვის დისერტაციის შეფასების პროცესი იდენტურია.

9.4 სადისერტაციო კომისია აფასებს სადისერტაციო ნაშრომს მისი ყველა კომპონენტით:

1) თემის აქტუალობა, სამეცნიერო/პრაქტიკულ-მეთოდული დებულებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების დასაბუთების ხარისხი, მათი სიახლე და ღირებულება – 70%
2) დისერტაციის გაფორმების ხარისხი და ენობრივი გამართულობა – 10%
3) დისერტაციის პრეზენტაცია და დაცვის დონე – 20%

საბჭოს თავმჯდომარე აცხადებს: დღის წესრიგს, დისერტანტის ვინაობას, დისერტაციის თემას, ექსპერტისა/ებისა სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების ვინაობას.

9.6 სწავლული მდივანი საბჭოს აცნობებს მაძიებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს და დისერტანტის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს.
კომისიის თავმჯდომარის წინადადებით დისერტანტი საბჭოს სხდომას მოახსენებს თავისი ნაშრომის ძირითად დებულებებს, მიღებულ შედეგებსა და კვლევის მეცნიერულ სიახლეს. მოხსენებისთვის განკუთვნილი დრო: ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორებისთვის არაუმეტეს 20 წუთისა, სამუსიკო ხელოვნების დოქტორებისათვის კი – არაუმეტეს 15 წუთისა.
სწავლული მდივანი საბჭოს აცნობს შესაბამისი მიმართულების რეცენზენტთა დასკვნებს, სტატიის ფარული რეცენზენტის დასკვნას, შენიშვნებს, გამოხმაურებებს ავტორეფერატზე.

კომისიის თავმჯდომარე სთხოვს მაძიებელს მოახსენოს კომისიის წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას, გაითვალისწინა თუ არა მან შენიშვნები.

კომისიის თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ექსპერტს/ებს, რომელიც წაიკითხავს რეცენზიას (რეგლამენტით არაუმეტეს 30 წუთისა). შემდეგ კი სთხოვს მაძიებელს, უპასუხოს ექსპერტის/ების შენიშვნებს.

შემდეგ სიტყვას აძლევს სამეცნიერო ხელმძღვანელს (ებს).

კომისიის თავმჯდომარე მიმართავს დამსწრეთ - კომისიის, საბჭოსა და დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლებს, რათა მიიღონ მონაწილეობა საბოლოო დისკუსიაში. ამის შემდეგ აცხადებს შესვენებას.

სწავლული მდივანი კომისიის წევრებს ურიგებს ფარული კენჭისყრის ბიულეტენს, რომლის მიღება დასტურდება დასწრების სიაში ხელისმოწერით.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით კომისიის წევრები თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ ხმის დამთვლელ კომისიას სამი კაცის შემადგენლობით.

9.15 ფარული კენჭისყრა ხორციელდება კომისიის წევრთა მიერ დაბეჭდილ ყუთში ბიულეტენების ჩაყრით, რომელსაც ითვლის მხოლოდ ხმის დამთვლელი კომისია.

9.16 დისერტაციის შეფასების კრიტერიუმებს ადგენს და განსაზღვრავს სადისერტაციო საბჭო;

9.17 დოქტორანტის ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება ორ ეტაპად ფარული კენჭისყრით, I ეტაპი – დაიცვა/ვერ დაიცვა; II ეტაპი – შეფასდეს დისერტანტის ნაშრომი შემდეგი კომპონენტების გათვალისწინებით: თემის აქტუალობა, სამეცნიერო სიახლე და ღირებულება; დისერტაციის გაფორმების ხარისხი და ენობრივი გამართულობა; დისერტაციის პრეზენტაცია და დაცვის დონე.

სადისერტაციო კომისიას, მსჯელობისა და ფარული კენჭისყრის შედეგად, გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) ფრიადი(summa cum laude)– შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) –შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (*bene*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

იმ შემთხვევაში თუკი სადისერტაციო კომისიის წევრთა უმრავლესობისგან დისერტანტმა მიიღო უარყოფითი შეფასება, სადისერტაციო კომისიას ფარული კენჭისყრის შედეგად, გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

- არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს. აღნიშნული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება აქვს ერთი წლის ვადაში წარმოადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი.

- სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს. აღნიშნული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

9.18 კომისიის გადაწყვეტილება დგინდება წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

ხმის დამთვლელი კომისიის წევრები – კენჭისყრის შედეგებს აფორმებენ ოქმის სახით, რომელიც ფარული კენჭისყრის შედეგებთან ერთად ინახება სადისერტაციო საბჭოში დისერტანტის საატესტაციო დოკუმენტებში

კომისიის თავმჯდომარე სთხოვს კომისიის წევრებს ღია კენჭისყრით დაამტკიცონ ხმის დამთვლელი კომისიის ოქმი. დადებითი შეფასების შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარე კომისიის სახელით შუამდგომლობს საბჭოს წინაშე, რათა მაძიებელს მიენიჭოს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის ან სამუსიკო ხელოვნების დოქტორის აკადემიური ხარისხი შესაბამისი სპეციალობით (იხ. დანართში სადისერტაციო ნაშრომის შეფასების უწყისი).

9.21 საბჭოს თავმჯდომარე საბჭოს ღია კენჭისყრით აცხადებს მაძიებლისთვის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის ან სამუსიკო ხელოვნების დოქტორის, მუსიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების (ან არ მინიჭების) შესახებ, რაც ძალაში შედის დისერტაციის ბეჭდური, ან ელექტრონული ვერსიების წარმოდგენის შემდეგ არა უმეტეს 6 თვის ვადაში დისერტაციის გამოქვეყნების (ან ბიბლიოთეკებისთვის ელექტრონული ვერსიების გადაცემის) შემდეგ.

9.22 კომისიის დასკვნა აისახება ბანკ-ბარათში (იხ. დანართში*ბანკ-ბარათი*) და სხდომის ოქმში.

9.23 დისერტაციის დაცვის წესის დარღვევის შემთხვევაში, ხმის დამთვლელი კომისიის ოქმი არ დამტკიცდება, რის შესახებაც განცხადებას აკეთებს თავმჯდომარე კენჭისყრამდე. კენჭისყრის პროცესში მომხდარი დარღვევის შესახებ განცხადება უნდა გაკეთდეს კენჭისყრის შედეგების გამოცხადებამდე. თუ ხმის დამთვლელი კომისიის ოქმი ვერ დამტკიცდა, დისერტაციის განხილვა შემდეგი სამუშაო დღისთვის გადაიდება. კენჭისყრისთვის მზადდება ახალი ბიულეტენები და საბჭო ხელახლა აწყობს ფარულ კენჭისყრას.

9.24 დისერტაციის დაცვის მსვლელობა ფიქსირდება სტენოგრაფიულად/ტექნიკური საშუალებებით, რის საფუძველზე ფორმდება კომისიის სხდომის ოქმი. შესაბამისად, სხდომის ოქმის ჩანაწერს უნდა ახლდეს აუდიო/ვიდეო ვერსია.

10. სამუსიკო ხელოვნების დოქტორის ხარისხის მოპოვების პროცედურა

10.1 საშემსრულებლო ფაკულტეტის დოქტორანტებისთვის სამუსიკო ხელოვნების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების პროცედურა ორ ნაწილს მოიცავს: საშემსრულებლო-საკონცერტოს და დისერტაციის დაცვას.

10.2 საშემსრულებლო ფაკულტეტის დოქტორანტის საკონცერტო გამოსვლის შეფასებას ახდენს საგამოცდო კომისია დახურულ სხდომაზე საკონცერტო გამოსვლის დასრულებისთანავე.

10.3 საგამოცდო კომისიას გამოაქვს გადაწყვეტილება შეფასების შემდეგი სისტემის მიხედვით:

ა)ფრიადი (summa cum laude)

ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*)

გ) კარგი (*cum laude*)

დ) საშუალო (*bene*)

ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*)

იმ შემთხვევაში თუკი საგამოცდო კომისიის წევრთა უმრავლესობას

გამოტანილი აქვს შეფასება უარყოფითი, საგამოცდო კომისიას, მსჯელობისა და ღია კენჭისყრის შედეგად, გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

- არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*).
  აღნიშნული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის ვადა საგამოცდო კომისიის წინაშე ახალი საკონცერტო პროგრამის წარმოსადგენად.
- სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*).
  აღნიშნული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს საკონცერტო პროგრამის საგამოცდო კომისიის წინაშე წარმოდგენის უფლებას.

10.4 სამუსიკო ხელოვნების დოქტორის აკადემიური ხარისხის მაძიებელს საკონცერტო ნაწილის ჩაბარების შემდეგ ეძლევა ვადა სადისერტაციო ნაშრომის საბჭოში წარმოსადგენად არაუმეტეს ორი თვისა.

10.5 სამუსიკო ხელოვნების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სადისერტაციო ნაშრომის დაცვა და შეფასება ხდება პუნქტი 9-ის შესაბამისად.

11. დისერტაციის დაცვის პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის

11.1 უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის კონსერვატორიაში დისერტაციის დაცვის ნებართვას გასცემს თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭო. (იხ.9.2). ამ შემთხვევაში მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების მოპოვების დამადასტურებელი საბუთი. გარდა ამისა, უნდა წარადგინოს იმ დაწესებულების ხელმძღვანელის შუამდგომლობა (ხელმოწერით და ბეჭდით დადასტურებული), სადაც შესრულდა დისერტაცია

11.2 აკადემიური ხარისხის მაძიებელმა საზღვარგარეთის ქვეყნის მოქალაქემ დისერტაციის განხილვასთან, დაცვასა და საატესტაციო მასალების გაფორმებასთან დაკავშირებით უნდა იხელმძღვანელოს „თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭოს დებულებით“.

12. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება

12.1. დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭო წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული წესების დაცვით, აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი გაიცემა დისერტაციის გამოქვეყნების შემდეგ.

12.2. დოქტორის აკადემიურ ხარისხს ადასტურებს კონსერვატორიის რექტორისა და სადისერტაციო საბჭოს თავჯდომარის მიერ ხელმოწერილი და კონსერვატორიის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, სტანდარტული დანართით.

12.3. დოქტორანტი ვალდებულია გამოაქვეყნოს დისერტაცია ბეჭდური ან/და ელექტრონული ფორმით დისერტაციის დაცვიდან არა უმეტეს 6 თვის ვადაში. გამოქვეყნებული ნაშრომის 10 გამოცემული პირი ან ელექტრონული ვერსია (CD-ზე, PDF ფაილის სახით 10 ცალად) უნდა გადაეცეს კონსერვატორიის და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკებს, წინააღმდეგ

შემთხვევაში დოქტორანტზე არ გაიცემა დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი.

12.4. დოქტორის აკადემიური ხარისხის გაუცემლობა ან ჩამორთმევა ხდება პლაგიატის ან არასწორი მონაცემების დადგენის საფუძველზე. ამ გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო.

12.5. პლაგიატის დადგენის შემთხვევაში დოქტორანტს ეკრძალება საბჭოზე დისერტაციის დაცვა ამ ან მომიჯნავე თემაზე. დისერტაციის ხელმძღვანელის საკითხი განიხილება სადისერტაციო საბჭოზე.

13. აპელაცია

13.1 სადისერტაციო საბჭოს მიერ დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების (ან არმინიჭების) შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, აკადემიური ხარისხის მაძიებელს და სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირს უფლება აქვსსადისერტაციო საბჭოში წარადგინოს აპელაცია–მოითხოვოს სადისერტაციო კომისიის სხდომის ოქმის პირი, გააპროტესტოს კენჭისყრის შედეგები (თუ, მისი აზრით, დაცვის დროს მოხდა პროცედურული დარღვევები).

13.2 სადისერტაციო საბჭო აპელაციას განიხილავს მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა და დასკვნას უგზავნის სადისერტაციო კომისიას და აკადემიური ხარისხის მაძიებელს.

13.3 თუ მაძიებლის აპელაცია დაკმაყოფილდა, სადისერტაციო კომისია აწყობს ხელახალ დაცვას, ან აგრძელებს მას იმ ეტაპიდან, რომელზეც დადგინდა პროცედურული დარღვევები.

14. სადისერტაციო დოკუმენტაციის აღრიცხვა

14.1 დისერტაციის დაცვის შემდეგ სადისერტაციო საბჭოს არქივში რჩება საქაღალდეში აკინძული საქმე;

14.2 სადისერტაციო საქმე საბჭოში ინახება 2 წლის განმავლობაში, ხოლო შემდეგ გადაეცემა კონსერვატორიის არქივს.

თავი III. საპატიო დოქტორის წოდება

15. სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია განსაკუთრებული დამსახურებისათვის სამუსიკო სფეროში საქართველოს ან უცხო ქვეყნის მეცნიერი წარადგინოს აკადემიური საბჭოს წინაშე საპატიო დოქტორის წოდების მისანიჭებლად.

თავი IV. დასკვნითი დებულებები

16. წინამდებარე დებულებაში დამატებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ წინადადების დასმის უფლება აქვს სადისერტაციო საბჭოს ნებისმიერ წევრს. დასაბუთებულ წინადადებას სადისერტაციო საბჭო განიხილავს უახლოეს სხდომაზე და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში განსახილველად

წარუდგენს კონსერვატორიის აკადემიურ საბჭოს. სადისერტაციო საბჭოს დებულებაში შეტანილ ყველა დამატებასა და ცვლილებას ამტკიცებს კონსერვატორიის აკადემიური საბჭო.

დანართი №1

წიგნი, რომელსაც რამდენიმე ავტორი ჰყავს:

დონაძე ვ., ჩიჯავაძე ო., ჩხიკვაძე გ. (1986). *ქართული მუსიკის ისტორია.* თბილისი: მეცნიერება.

წიგნი:
Levi-Strauss, C. (1966). *Il crudo e il cotto.* Milano: Riccordi.

სტატია სტატიების კრებულიდან:
Холопов, Ю. (2000). Кризис музыки XX века в ритме циклов истории. (В. Холопова, Ред.) *Искусство и наука об искусстве в переходные периоды истории культуры*.
სტატია ჟურნალიდან:
Иванов, А. (2010). Творческий портрет. *Музыкальная академия , 3*, 23-54.

ვებ-გვერდი:
Kramer, J. (2006, May). *Music theory*. from http://www.encyclopedia.com/searchresults.aspx?q=Ausg.სტატია ენციკლოპედიიდან, რომელსაც არ ჰყავს ავტორი:
Rithm (Dictionary of Music Ausg., Bd. 23). (1887). New York.

ტექსტში ციტატას ფრჩხილებში მიეთითოს ავტორი, გამოცემის წელი და გვერდი, მაგალითად „ციტატის ტექსტი“ (Levi-Strauss, 1966:35).

დანართი №2

1. სამუსიკო ხელოვნების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად შესრულებული დისერტაცია უნდა წარმოადგენდეს საშემსრულებლო-შემოქმედებითი, პრაქტიკულ-მეთოდური, პრაქტიკულ-ინტერპრეტაციული საკითხებისადმი მიძღვნილ დასრულებულ გამოკვლევას, რომელიც სასურველია, მეტნაკლებად უკავშირდებოდეს დოქტორანტის საშემსრულებლო-შემოქმედებით მოღვაწეობას.
2. სადისერტაციო ნაშრომში დოქტორანტს უფლება აქვს გამოიყენოს თავისივე საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომების ტექსტი, რომლის მოცულობაც არ უნდა აღემატებოდეს დისერტაციის ტექსტის 1/4-ს. გარდა ამისა, სადიპლომო ნაშრომის სამეცნიერო დასკვნები არ უნდა იყოს წარმოდგენილი დისერტაციის ძირითადი შედეგების სახით.
3. სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს: ***ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მაძიებლისთვის*** **არანაკლებ 150 გვერდისა** <u>დანართის</u> <u>გარეშე</u>, ხოლო ***სამუსიკო ხელოვნების დოქტორებისათვის*** **არანაკლებ 70 გვერდისა** <u>დანართის გარეშე</u> (ფურცლის სტანდარტული ზომით გამოქვეყნებული მონოგრაფიის (წიგნის) დაცვის შემთხვევაში მისი მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 6 ფორმისა. კომპიუტერზე აკრეფილი დისერტაციის ტექსტში უნდა იყოს დაცული შემდეგი პარამეტრები: ფონტი – Acad Nusx (სხვა ენაზე შესრულებისას Times New Roman), შრიფტის ზომა 12, A4 (210X297 მმ) ზომის ქაღალდზე, სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5, დაშორება გვერდის ზედა და ქვედა კიდიდან 2,5 სმ, გვერდის მარჯვენა კიდე – 1,0 სმ, მარცხენა კიდე – 3,0 სმ.
4. სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატი უნდა შეიცავდეს ქართულ ტექსტს და მის სრულ თარგმანს რომელიმე ევროპულ (ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, რუსულ) ენაზე. ავტორეფერატის საერთო მოცულობა (თარგმანის ჩართვით) უნდა იყოს: ***ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მაძიებლისთვის*** **50-დან 60 გვერდამდე,** ***სამუსიკო ხელოვნების დოქტორებისათვის*** კი **25-დან 30 გვერდამდე**. ავტორეფერატის კომპიუტერზე აკრეფისას – სტრიქონებს შორის მანძილი 1,5 ინტერვალია, შრიფტის ზომა 12, ტექსტის გაფორმებასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები იგივეა, რაც დისერტაციის ტექსტისათვის.
5. სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატში სრულად უნდა აისახოს თემის აქტუალობა, კვლევის მიზანი, შედეგები და ნაშრომის მეცნიერული სიახლე. იგი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ნაშრომის აპრობაციის, დისერტაციის მოცულობისა და სტრუქტურის შესახებ. დისერტაციის შინაარსი ავტორეფერატში გადმოცემულია თავების მიხედვით, აქვეა ზოგადი დასკვნები და ავტორის სადისერტაციო ნაშრომის პრობლემატიკასთან დაკავშირებული პუბლიკაციების ნუსხა.